



ბრ1

გთხოვთ, გამათავისუფლოთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან (ბროშურა ფიზიკური პირებისათვის)

„გთხოვთ, გამათავისუფლოთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან...“ - ამ თხოვნით მოსამართლისათვის მიმართვა იწერება **განცხადების ფორმით**. განცხადება უნდა იყოს **დასაბუთებული**. მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს თქვენი **მოთხოვნა** და ამ მოთხოვნის **არგუმენტები**. მოთხოვნის შინაარსი უკვე განვსაზღვრეთ. ქვემოთ წარმოგიდგენთ თქვენი მოთხოვნის შესაძლო არგუმენტებს.

არგუმენტები:

კანონი **სრულად** გათავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, თუ თქვენ ხართ:

- o **მოსარჩელე**
ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელზე;
- o **მოსარჩელე**
დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე;
- o **მოსარჩელე**
დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე;
- o **მხარე**
უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელზე;
- o **მოსარჩელე**
არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელზე;
- o **მხარე**
რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;
- o **მხარე**
წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესებით გასაჩივრებისას;
- o **მხარე**
არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ სარჩელზე;
- o **ფიზიკური პირი**
სარჩელზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;

- **მოსარჩელე**
სარჩელზე, რომელიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან;
- **ფიზიკური პირი**
სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივარზე დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების სისწორის შესახებ;
- **მოსარჩელე**
დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე;
- **მხარე**
საკასაციო საჩივარზე განქორწინების საქმეების შეწყვეტის შესახებ;
- **ინვალიდი**
ყველა სარჩელზე;
- **მოსარჩელე**
სარჩელზე ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ;
- **იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი**
საჩივარზე თქვენი იძულებით გადაადგილებულ პირად და ლტოლვილად არცნობის შესახებ;
- **ვეტერანი**
რომელიც „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დასაცავად მიმართავს სასამართლოს;
- **მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩლე**
სარჩელზე არასრულწლოვანის უფლებების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი, თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.
- **მოსარჩელე**
უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ აღძრულ სარჩელზე.
- **მოსარჩელე**
თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღძრულ სარჩელზე.

თუ ზემოთ მოცემული არგუმენტებიდან არცერთი არ ფიქსირდება, თქვენ მაინც შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, თქვენი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, **სრულად ან ნაწილობრივ** გაგათავისუფლოთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, თუ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასაბუთებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის **შეუძლებლობას**.

გაითვალისწინეთ, რომ ამ ბროშურაში მოცემული მსჯელობა ემყარება მხოლოდ მის ავტორთა განსჯას და არ წარმოადგენს სასამართლოს ოფიციალურ პოზიციას.